

**განცხადება ზანგი ამერიკელების მხარდასაჭერად
თავიანთ ბრძოლაში ამერიკული იმპერიალიზმის რასობრივი
დისკრიმინაციის წინააღმდეგ.**

ზანგი ამერიკელების ერთერთმა ლიდერმა, რომელსაც ამჟამად პოლიტიკური თავშესაფარი აქვს მიღებული კუბაზე, ბატონმა რობერტ ვილიამსმა, ფერადკანიანი მოსახლეობის ხელშეწყობის ნაციონალური ასოციაციის, ჩრდილოეთ კაროლინას მონროს¹ ფრთის ყოფილმა პრეზიდენტმა, წელს უკვე ორჯერ მთხოვა რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ და თავისუფლებისა და თანასწორი უფლებებისთვის ზანგი ამერიკელების ბრძოლის მხარდასაჭერი განცხადების გაკეთება. მსურს გამოვიყენო ეს შესაძლებლობა და ზანგი ამერიკელების ბრძოლას თავისუფლებისათვის, თანასწორუფლებიანობისთვისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ გამოვუცხადო მტკიცე მხარდაჭრა ჩინელი ხალხის სახელით.

შეერთებულ შტატებში 19 მილიონზე მეტი ზანგია, ანუ მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 11%. ისინი საზოგადოებაში დამონების, ჩაგვრისა და დისკრიმინაციის მდგომარეობაში არიან. მათ უდიდეს ნაწილს ჩამორთმეული აქვს საარჩევნო უფლება. მათ, როგორც წესი, მხოლოდ ყველაზე რთულ და ბინძურ სამუშაოს ანდობენ. მათი საშუალო ხელფასი თეთკანიანების საშუალო ხელფასის მხოლოდ მესამედი ან ნახევარია. ზანგებში ყველაზე მაღალია უმუშევრობის დონე. ბევრ შტატში მათ არ შეუძლიათ იმ სკოლებში სწავლა რომლებშიც თეთრები სწავლობენ, არ შეუძლიათ იმავე მაგიდასთან, ან ავტობუსისა და მატარებლის იმავე განყოფილებაში ჯდომა. შეერთებული შტატების სხვადასხვა დონის ძალოვანები, კუ-კლუქს-კლანი და სხვა რასისტები, ზანგებს ხშირად და დაუსაბუთებლად აკავებენ, ცემენ და კლავენ. ზანგი ამერიკელების დაახლოებით ნახევარი შეერთებული შტატების სამხრეთის თერთმეტ

¹ ქალაქი ჩრდილოეთ კაროლინაში

შტატში ცხოვრობს, სადაც მათი დისკრიმინაცია და დევნა განსაკუთრებით განმაცვიფრებელია.

ზანგი ამერიკელები იღვიძებენ და მათი წინააღმდეგობა უფრო და უფრო იზრდება. უკანასკნელ წლებში განუწყვეტლივ ძლიერდებოდა მათი მასობრივი ბრძოლა თავისუფლებისათვის, თანასწორუფლებიანობისთვისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

1957 წელს ლითლ როქში (არკანზასი) ზანგმა ხალხმა წამოიწყო მძვინვარე ბრძოლა თავიანთი შვილების საჯარო სკოლებში არდაშვების წინააღმდეგ. სახელმწიფომ მათ წინააღმდეგ შეიარაღებული ძალა გამოიყენა. ასე მოხდა ლითლ როქის ინციდენტი, რომელმაც შეძრა მსოფლიო.

1960 წელს ზანგებმა ოცზე მეტ შტატში გამართეს 'მჯდომარე' დემონსტრაციები ადგილობრივ რესტორნებში, მაღაზიებსა და სხვა საჯარო სივრცეებში არსებული რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ.

1961 წელს ზანგებმა წამოიწყეს კამპანია 'თავისუფლების მგზავრები'² ტრანსპორტში რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ, კამპანია რომელიც მალე მრავალ შტატს მოედო.

1962 წელს მისისიპიში ზანგებმა კოლეჯებში ჩაბარების თანასწორი უფლებისთვის იბრძოლეს და სახელმწიფოს მხრიდან პასუხად ძალადობა მიიღეს, რასაც სისხლისღვრა მოყვა.

წელს ზანგი ამერიკელების ბრძოლა დაიწყო ბირმინგემში (ალაბამა). შეუიარაღებელი და დაუცველი ზანგი ხალხი მასობრივი დაპატიმრებისა და ბარბაროსული რეპრესიების მსხვერპლი მხოლოდ იმიტომ გახდა, რომ მათ მიტინგები და მსვლელობები გამართეს რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ. 12 ივნისს სასტიკად მოკლეს ბატონი მედგარ ევერსი, ზანგი ხალხის ლიდერი მისისიპიში. აღშფოთებული და სასტიკი ძალადობით არ დაშინებული ზანგების მასები თავიანთ ბრძოლას კიდევ უფრო დიდი სიმამაცით შეუდგნენ და მალე მთელი შეერთებული შტატების ზანგებისა და

² Freedom riders

ყველა ფენის წარმომადგენელი სხვა ხალხის მხარდაჭერაც მიიღეს. უზარმაზარი და ძლიერი ბრძოლა მოედო შეერთებული შტატების თითქმის ყველა შტატსა და ქალაქს, და ბრძოლა კიდევ იზრდება. 28 აგვისტო სზანგი ამერიკელების ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს თავისუფლების მარშის გამართვა ვაშინგტონში, სადაც 250 000 ადამიანი მიიღებს მონაწილეობას.

ზანგი ამერიკელების ბრძოლის სწრაფი განვითარება არის შეერთებულ შტატებში გამწვავებული კლასობრივი და ნაციონალური ბრძოლის გამოვლინება. ეს მზარდ შფოთვის იწვევს შეერთებული შტატების მმართველ წრეებში. კენედის ადმინისტრაცია მზაკვრულ ორპირ ტაქტიკას იყენებს. ერთის მხრივ, ის აგრძელებს ზანგების მიმართ დისკრიმინაციისთვის ხელის შეწყობას და მის გატარებასაც და, ასევე, მათ დევნას; ის ჯარსაც კი აგზავნის მათ ჩასახშობად. მეორეს მხრივ, მას თავი მოაქვს 'ადამიანის უფლებების დამცველად' და 'ზანგების სამოქალაქო უფლებების დამცველად', ის ზანგებს 'მოთმინებისკენ' მოუწოდებს და კონგრესს ეგრეთ წოდებულ 'ადამიანის უფლებების კანონმდებლობას'³ სთავაზობს, რათა ჩაკლას ზანგი ხალხის ბრძოლის ნება და შეცდომაში შეიყვანოს მასები მთელი ქვეყნის მასშტაბით. თუმცა, კენედის ადმინისტრაციის მსგავსი ტაქტიკის ამოცნობა სულ უფრო და უფრო მეტ ზანგს შეუძლია. შეერთებული შტატების იმპერიალისტების მიერ ზანგების მიმართ განხორციელებული ფაშისტური სისასტიკეები აშიშვლებენ შეერთებული შტატების ეგრეთ წოდებული დემოკრატიისა და თავისუფლების ნამდვილ ბუნებას და ამჟღავნებენ ორგანულ კავშირს შეერთებული შტატების მთავრობის მიერ შინ გატარებულ რეჟაციულ პოლიტიკასა და მის აგრესიულ საგარეო პოლიტიკას შორის.

მუშებს, გლეხებს, რევოლუციურ ინტელიგენციას, ბურჟუაზიის პროგრესულ ელემენტებს და მსოფლიოს სხვა ნებისმიერი კანის ფერის მქონე პროგრესულ ელემენტს, თეთრებს, შავებს, ყვითლებს, ყავისფრებს და ა.შ. - მოუწოდებ შეერთებისკენ, შეერთებული შტატების იმპერიალიზმის

³ იგულისხმება 1964 წლის 2 ივლისს დამტკიცებული 'სამოქალაქო უფლებების აქტი', რომლითაც აიკრძალა დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის ან ეროვნული წარმოშობის მიხედვით.

მიერ განხორციელებული რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ და ზანგი ამერიკელების მიერ რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ გამართული ბრძოლის მხარდასაჭერად. საბოლოო ჯამში, ნაციონალური ბრძოლა კლასობრივი ბრძოლის საკითხია. შეერთებულ შტატებში თეთრებიდან ეროვნულ ჩაგვრას ზანგების მიმართ მხოლოდ რეაქციული მმართველი წრეები აწარმოებენ. ისინი ვერავითარ შემთხვევაში ვერ წარმოადგენენ მუშებს, გლეხებს, რევოლუციურ ინტელიგენციას და სხვა პროგრესულ ელემენტებს, რომლებიც თეთრი ხალხის სრულ უმრავლესობას შეადგენენ. დღეს ერთი ბლუჯა იმპერიალისტები შეერთებული შტატებისა და მათი მხარდამჭერების, სხვადასხვა ქვეყნის რეაქციონერების მეთაურობით ჩაგრავენ მსოფლიოს ერებისა და ხალხების უმრავლესობას, ახორციელებენ მათზე აგრესიას და ემუქრებიან მათ. ჩვენ ვართ უმრავლესობა და ისინი არიან უმცირესობა. ისინი მაქსიმუმ დედამიწის 3 მილიარდიანი მოსახლეობის 10%-მდე თუ იქნებიან. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მსოფლიოს ხალხის 90%-ზე მეტის დახმარებით ზანგი ამერიკელების სამართლიანი ბრძოლა გამარჯვებით დასრულდება. კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის ბოროტი სისტემა ამოიზარდა და აყვავდა ზანგების დამონებითა და ზანგებით ვაჭრობით - ის საბოლოოდ შაკვანიანების სრული განთავისუფლებით დასრულდება.

მაო ძედუნი. 08.08.1963.